რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

მენეჯმენტის ახალი მიმართულების შესახებ

About the New Direction of Management

О новом направлении менеджмента

თბილისი
2016

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს რევაზ ლორთქიფანიძის შრომა "მენეჯმენტის ახალი მიმართულების შესახებ" წარმოადგენს უნივერსიტეტ გეომედში 2016 წლის 11 მაისს ორგანიზებული მისივე საჯარო ლექციის „პოსტკომუნისტური ქვეყნების ჯანდაცვითი მენეჯმენტის პრობლემებისა და მათი გადაჭრის ზოგადთეორიული ხედვების შესახებ" განზოგადებასა და წმინდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას.

შრომაში შემოთავაზებული და განხილულია ახალი ტიპის მენეჯერული მიმართულების - **„კონკურენტული მენეჯმენტის" („Competitive Management", „Конкурентный менеджмент")** ზოგადთეორიული პრინციპები და სპეციფიკა.

განკუთვნილია ეკონომიკის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლების თანამედროვე სამეწარმეო მართვის პრაქტიკაში გამოყენებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია.

ISBN 978-9941-0-8807-0 (PDF)

მენეჯმენტის ახალი მიმართულების შესახებ:

„კონკურენტული მენეჯმენტის“ ეპოქა

მენეჯმენტის ნამდვილად გენიალური მამის - ფ. ტეილორის ცნობილი კლასიკური (მეტწილად ზოგადი - უნივერსალური ხასიათის) მენეჯერული სკოლის ეპოქიდან [1], საუკუნეზე მეტი გავიდა და, ახალი რეალიების გათვალისწინებით, ვფიქრობ, დრო დაუდგა ახალი ტიპის განსაკუთრებულად სპეციალიზებული „კონკურენტული მენეჯმენტის“ („Competitive Management“, „Конкурентный менеджмент“) მიმართულების ურთულეს ეპოქას, როცა მენეჯმენტს კოსმოსური სიჩქარეების ანტიმონოპოლიური ხერხებით მოქმედების განსაკუთრებული განსწავლულობა მართებს.

ინტერნეტქსელში მასობრივი მკითხველისათვის გამოქვეყნებული ჩემი შრომებიდან [7], გემახსოვრებათ დასკვნები, როცა აღვნიშნავდი, რომ ტექნიკური ინოვაციების არნახული სისწრაფეებით დაწინაურების ეპოქაში, მსოფლიო ასევე სწრფად მდიდრდება, მაგრამ, ჯერ კიდევ მატულობს განსაკუთრებით შეჭირვებულთა რაოდენობაც, რაც შემოსავლების ძალზე უთანაბროდ განაწილების გახანგრძლივებულ პრობლემაზე მიგვანიშნებს, როცა ფარული მონოპოლიები არაწესიერი ადვილი გზებით ცდილობენ ჩაიჯიბონ ზედმეტი და დაძირონ წესიერი ბიზნესები და მათი მართვის ინსტიტუციონალური მექანიზმები.

თუ მენეჯერული სკოლების ევოლუციის პროცესს გავიხსენებთ [11-14], **„კლასიკური“**, **„ადამიანური ურთიერთობებისა“** და შემდგომი **„ინტელექტუალური შტურმის“** მიმართულებებით, ტეილორ-ფაიოლ-ვებერიდან ფორდ-ჰერცბერგ-დრუკერამდე, მართვის იერარქიის სტანდარტიზება-დახვეწასთან ერთად, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის პიროვნულ-პროფესიული უნარების დაფასებას, შესაბამისად, მოტივაციასა და კომფორტული სამუშაო ადგილების შექმნას მასებისათვის.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მინდა მოვიხსენო ჰ. ფორდი, რომელიც გამომგონებელიც იყო და მრეწველიც, მაგრამ მისი მთავარი

ღირსება მენეჯერული ხელოვნება და პიროვნული თვისებები იყო. მან, თეორიულად ჯერ კიდევ გაუაზრებელი ადამიანური ღირსებებით, ისეთი პირობები შექმნა, რომ ფასები შესაძლოდ მინიმალური ყოფილიყო, ხოლო შემოსავლები და ხელფასები, მათ შორის მუშების - მაქსიმალური. შედეგად, იმ ახლადფეხადგმული ტექნიკური პროგრესის ეპოქაშიც კი, როცა კონვეირი და მანქანა იშვიათობას წარმოადგენდა, მუშა ახერხებდა, რომ თავისი წარმოებული ავტომობილი ეყიდა.

თანამედროვე პირობებში, სულ უფრო იკვეთება სპეციალიზაციის გაღრმავების აუცილებლობა ყოველ კონკრეტულ მენეჯმენტში, ვინაიდან, უნივერსალური მეთოდები უკვე სულ უფრო და უფრო ვერ „ჭრის“ ანუ ვერ შველის პოლარულად განსხვავებული სპეციფიკური პრობლემების გადაწყვეტას.

ამ ფონზე, ჩემს მიერ შემოთავაზებულმა **„კონკურენტულმა მენეჯმენტმა“**, მაქსიმალურად ზუსტად უნდა განსაზღვროს რაციონალური კონკურენციის საზღვრები, მოახერხოს ფარული მონოპოლიების გამოვლენა და, შესაბამისად, ანტიმონოპოლიური ხერხებითა და ღია ინტერნეტსქსელში ჩართული პროგრესული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა პარტნიორების დახმარებით, მოახერხოს ფარული არაკეთილსინდისიერი კონკურენტების შესაძლოდ ოპერატიული დამარცხება.

ზოგს მიაჩნია, რომ მონოპოლიებთან ბრძოლა დაუშვებელია, ვინაიდან, ეს ბაზარში არაობიექტურ ჩარევასა და ზოგიერთების ლობირებას უკავშირდება. ამ ლოგიკით, ჩვენ კრიმინალსაც აღარ უნდა ვებრძოლოთ და ყველაფერი თავისუფალ თვითდინებაზე მივუშვათ. ჩვენ კეთილსინდისიერ მონოპოლიებს ნამდვილად არ ვერჩით - ფარული და უწესო მონოპოლიებია, ჩემი აზრით, განსაკუთრებული საფრთხე ბაზრისათვის.

ჩვენი ამ კვლევის ობიექტებს, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებისათვის, რამაც, ჩემი აზრით, თვალსაჩინო დასკვნების საშუალება მოგვცა, ახალი საბაზრო მსოფლიოს ქვეყნები წარმოადგენდა, რომლებსაც საქართველოს მსგავსი ისტორიული წარსული აქვთ, მათ შორის:

- ყოფილი ე.წ. “ვარშავის ხელშეკრულების“ ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპაში, რომელთა მსგავსი სამეწარმეო ტრადიციებიც, მნიშვნელოვანწილად, გეოგრაფიული პირობების მსგავსებიდანაც გამომდინარეობს, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ევროპას, გეოგრაფიული მიდგომის მიხედვით, წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპული დაბლობი, რომელსაც, უახლეს ისტორიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, ძირითადად მიაკუთვნებენ ყოფილი კომუნისტური სისტემის მიმდებარე ქვეყნებსაც: ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, ბალტიისპირეთისა და კავკასიის ქვეყნები და, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, უკიდურესად სამხრეთ ბალკანეთის ტერიტორიები და ყაზახეთიც კი, მისი ტერიტორიის დაახლოებით მეათედის ევროპულ დაბლობში არსებობის გამო.

- ყოფილი სსრკ-ს დანარჩენი აზიური რესპუბლიკები.

- ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და კუბა, რომლებიც ამჟამადაც წარმოადგენენ კომუნისტურ (უფრო ზუსტად - ნაწილობრივ კომუნისტურ) სახელმწიფოებს.

საკვლევ ობიექტებზე ხანგრძლივი სპეციალური დაკვირვებებისა და ინტერნეტქსელის დახმარებით მოპოვებული სტატისტიკური მაჩვენებლების [10] განზოგადებით ვლინდება, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნების მხოლოდ მცირე ნაწილმა, განვითარებულ ეკონომიკასთან გონივრული ინტეგრირებითა და შიდა რესურსების მაქსიმალური მობილიზებით, დაძლია წარსულის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები, თუმცა, მათთანაც კი, იგრძნობა, რომ თავიანთი უახლესი წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული მეტად ინერციული პრობლემები ჯერ კიდევ ძალზე მწვავედ მოქმედებენ, მ.შ. უპირველესად უნდა აღინიშნოს შეჭირვებული მოსახლეობისათვის ყველაზე მწვავედ აქტუალური და თვალსაჩინო ჯანდაცვისა და ზოგადად ეკონომიკის ისეთი პრობლემები, როგორებიცაა:

1. ცხოვრების დაბალი დონე;
2. მსხვილი პრივატიზებული ობიექტები, რომლებიც მონოპოლიებად იქცნენ;

3. მონოპოლიური ფასები, მ.შ., ხშირ შემთხვევაში, ხისტად განსაზღვრადი და სრულიად უმართავი გახდა, მაშინ, როცა, ავადხსენებულ კომუნისტურ წარსულშიც კი, არ იყო ეს პრობლემა;
4. მენეჯმენტის პრობლემა, მ.შ. „მთავარი ექიმის“ ინსტიტუტის ინერცია (კომუნისტურ წარსულში ბევრი ღირსეული მთავარი ექიმი მოღვაწეობდა, მაგრამ მართვის ამ ინსტიტუტის არაპროფესიონალიზმმა, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში იჩინა თავი);
5. ჯანდაცვითი და სხვა სოციალური სფეროს დარგების მიზნის პრობლემა;
6. სამედიცინო მომსახურების პროდუქტის შეფასების პრობლემა;
7. თანმდევი ანაზღაურების პრობლემები;
8. ახალგაზრდა სპეციალისტებისა და ზოგადად კადრების დასაქმების პრობლემა;
9. ფარული საერთაშორისო ალიანსების პრობლემები, რომლებშიც, თავის მხრივ, უნდა გამოიკვეთოს:

   ა) არაკანონიერ საფუძველზე, დამატებითი გამსხვილებით მასშტაბის ეკონომიის ინტერესი;

   ბ) გადასახადებისა და სხვა ბარიერებიდან თავის არაწესიერი ხერხებით აცილების მიდრეკილებები;

   გ) რისკების მინიმიზება, ასევე, არაწესიერი გზებით;

   დ) კონკურენციის ხელოვნური მეთოდებით შეზღუდვა;

   ე) ტექნიკურ ინოვაციებზე არაკეთილსინდისიერი წვდომა;

   ვ) განსაკუთრებით მაღალრენტაბელური არალეგალური ბიზნესის ინტეგრირება, რაც, ისტორიულად სხვადასხვა ცივილიზაციების დამაკავშირებელი საქართველოს მაგალითზე, ხელს უშლის:

   1) უნიჭიერესი ინტელექტუალური პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენებას;
   2) უნიკალური სამედიცინო-აგრო-სამრეწველო ბაზის ეფექტიანად ამოქმედებას;
   3) ნავთობექსპორტიორთა პოტენციალზე არანაკლები (მთელ რიგ შემთხვევებში, მეტიც კი) ჰიდრო და ელექტრო-ტექნიკური რესურსების

რაციონალურად მობილიზებას, რაც აუცილებელია მაღალგანვითარებული მეცნიერებატევადი მრეწველობისა და მასობრივი პირველადი მედიცინის ობიექტებისათვის, მ.შ. მაღალ მთაში.

იმ ფონზე, როცა ცხოვრების დონემ ეკონომიკური განვითარებით ტოპ ქვეყნებში 35 ათას დოლარს გადააჭარბა ერთ მოსახლეზე (მაგალითისათვის, შვეიცარია - 81 ათასი $, აშშ - 50 ათასი $, გერმანია - 47 ათასი $, ავსტრია - 42 ათასი $, იტალია - 36 ათსი $), თვალსაჩინოა პოსტკომუნისტური ქვეყნების ცხოვრების ჯერ კიდევ ძალზე დაბალი დონე. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის ჰუმანური ე.წ. საყოველთაო რეფორმის შემდეგ, საქართველო, ცხოვრების დონის მაჩვენებლით, 7,1 ათას $-მდე გაიზარდა და ევროკავშირის ქვეყნებს დაუახლოვდა [დანართი 1].

მას შემდეგ, რაც კომუნიზმმა ვერ გაუძლო კონკურენციას საბაზრო ეკონომიკასთან, ურთულესი პოსტკომუნისტური ეკონომიკური პრობლემების ფონზე, როცა, მაგალითისათვის, მართლა უნიკალური ეკონომიკური შესაძლებლობების საქართველო, გასული საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოში ბოლო ადგილზეც კი დავიდა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, მისანიშნებელია, რომ შემოქმედებითმა ინტელიგენციამ ნამდვილად საოცარი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა და საჭირო რეკომენდაციებს თავაზობდა და თავაზობს საზოგადოებას.

სამაგალითოდ აღვნიშნავ ახალგაზრდა უნივერსიტეტ გეომედს (დამფუძნებელი და რექტორი - ცნობილი მეცნიერ-ორგანიზატორი ქ-ნი მ. ფირცხალავა, რექტორატი - მ. მესხი, თ. ხვიჩია, ი. ბოლოკაძე, დ. ჩიხრაძე, ქ. ბენიძე, თ. სოზიაშვილი, მ. ადვაძე, თ. მოწონელიძე, ლ. ცქიტიშვილი და სხვ, მეცნიერები - გ. ამყოლაძე, გ. ხასია, ა. ცერცვაძე, ლ. აფციაური, დ. ჩლაიძე, დ. ფირცხალავა, თ. დევიძე, თ. ლაკირბაია და ამ ახალგაზრდა უნივერსიტეტში მოღვაწე სხვა უკვე საქვეყნოდ ცნობილი მოღვაწეების შემადგენლობით), რომელმაც ნამდვილად ნოვატორულად იტვირთა ადამიანების სწრაფი და ხარისხიანი გადარჩენისათვის ჯანადაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადების მწვავე პრობლემა.

ჯერ კიდევ ანტისოციალური ბუმის წლებში, გეომედმა მკვეთრად გამოხატა თავისი ზომიერი სოციალური მედიცინის მიდგომა და ჩამოაყალიბა თავისი პოზიციები:

- არა მიზანს „მოგების მაქსიმიზება“;
- მთავარი მიზანი „მინიმალური ხარჯები“ ოპერატიული და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების პირობებში - Minimal Costs and Prices;
- ურთიერთხელსაყრელი მეცნიერული ინტეგრირება განვითარებული ქვეყნების მენეჯერულ სკოლებთან, მ.შ. მინესოტას უნივერსიტეტთან (ეს ის ამერიკული შტატია, სადაც ფუნქციონირებს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეიოს კლინიკა).

სამწუხაროდ, პოსტკომუნისტურ ეპოქაში არსებობენ და „მოღვაწეობენ“ სპეციალისტებიც, რომლებიც ნოსტალგიას იჩენენ ათეისტური კომუნიზმის მისამართით, ზოგს ინტეგრაციის ეშინია ან, პირიქით, დაუფიქრებლად ენდობა ყოველივე შენიღბულად „სამართლიანს“ და შემოსავლიანს.

მათ პასუხად, ხაზგასმით მინდა გავიხსენო:

1) უწმინდეს ილია მეორის ქადაგება, რომელიც ძალზე გონივრულად მიგვანიშნებს, რომ ქრისტიანებს არაფრის არ უნდა გვეშინოდეს, უფლის წყენინების გარდა და, ბუნებრივია, გლობალიზებაც სასიკეთოდ უნდა გამოვიყენოთ;
2) კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილების სქემატური მოდელი [5; დანართი 2], რომელიც თვალნათლივ გვიდასტურებს, რომ ზოგადად შრომითი რესურსების და მათ შორის სამედიცინო კადრების გადაადგილება ევროპული და შემდგომი გონივრული ინტეგრაციის პროცესში სასიკეთო შედეგიანობით (მრიცხველი m+d) განვითარდება, როგორც შედრებით ღარიბი ქვეყნებისათვის, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისათვის, მითუმეტეს, რომ საქართველო მაღალხარისხიანი სამედიცინო კადრების სიჭარბით გამოირჩევა.

კონკურენციის ძალის შეფასების ჩემი მეთოდოლოგიის (I=U/R-ის საფუძველზე) თანახმად [დანართი 3], რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამედიცინო ბაზრებზე რაციონალური კონკურენციის საზღვრების განსაზღვრისათვის, მიმაჩნია, რომ კონკურენციის ინტეგრალური კოეფიციენტი, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია ვარირებდეს ინტერვალში 300-500, რათა ჯანდაცვითი ობიექტი არ იყოს არც მონოპოლიურად ძალიან დიდი და არც ძალიან მცირე, როცა ზედნადები ხარჯები მნიშვნელოვნად ზრდის მომსახურების ტარიფებს. აუცილებელია სამედიცინო მომსახურების მონოპოლიური ფასების რეგულირების სახელმწიფო ინსტიტუტების ამოქმედება, რაც შეამსუბუქებს საყოველთაო ჯანდაცვის ეკონომიკურ ტვირთს და გააფართოებს საყოველთაო ჯანდაცვის მოქმედების არეალს კერძო ჯანდაცვით ობიექტებზე, რომელთა შესაძლოდ სრული ჩართულობაც, თავის მხრივ, მიზანშეწონილი და აუცილებელიცაა პოსტკრიზისული საქართველოს პირობებში. აუცილებელია, ასევე, იმ დოტაციური მსხვილი ობიექტების ნუსხის კვალიფიციური განსაზღვრაც, რომელთა სახელმწიფო საკუთრებაში შენაჩუნება და მუდმივი მზრუნვილი მეურვეობა აუცილებლობას წარმოადგენს - მ.შ. ონკოლოგიასა და განსაკუთრებით სახიფთო ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის პროცესში.

ჯანდაცვის რეფორმამ მასობრივად გაზარდა მადლიერი პაციენტების რაოდენობა და რაც შეეხება მის ხარვეზებსა და ეკონომიკურ ბაზას, ეს ჯერ კიდევ ძალზე შორსაა ტოპ ქვეყნებიდან, რაც კარგად ჩანს გრაფიკზე. თუმცა, მიმაჩნია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის არდანახვა და შემდგომი იგნორირება და ხელშეშლა დიდი შეცდომა იქნება და დაუშვებელია.

როგორც ცნობილია, ქართველი სპეციალისტების გარკვეული ნაწილი მხარს უჭერს სადაზღვევო რეფორმებს ე.წ. „გაბისმარკების“ გერმანეული მოდელის მიმართულებით, ვინაიდან, მათი აზრით, ლორდ ბევერიჯის ინგლისური მოდელი ფუფუნებაა ჩვენისთანა ქვეყნისათვის და აზუსტებენ, რომ ბევერიჯი–ბისმარკის ელემენტებით ყველაზე კარგი იქნებოდა ჩვენთვის.

ჩემი აზრით, სადაზღვევო ნიუანსების სრულყოფაზე მაშინ შეიძლება დავიწყოთ მსჯელობა, როცა ქვეყნის ეკონომიკა ელემენტარული თვითუზრუნველყოფადი ზრდის საშუალოევროპულ დონემდე გაიზრდება. ახლაკი, ისეა ჩვენი მოსახლეობა

ფაქტიური სტაგნაციის შემდეგ ჯერ კიდევ დაძაბუნებული, რომ ბევრი მათგანი ბინებსაც კი კარგავდა აუცილებელი მკურნალობის საჭიროებათა გამო. ამ ეტაპზე, მონოპოლიური ფასები შესაძლო მინიმუმამდე უნდა დავწიოთ უპირველესად და ჩვენი პოტენციალი უკეთ გამოვიყენოთ. საერთაშორისო დახმარებების იმედიც მაქვს და უნდა გვქონდეს - ეს გვშველოდა აქამდე ხშირად, ოღონდ უნდა ვერკვეოდეთ რას ვითხოვთ და ყველაზე ნდობა არ შეიძლება საერთაშორისო სტრუქტურებშიც კი.

დღევანდელ სწრაფ მსოფლიოში ყველა მეტად უნდა გაუფრთხილდეს თავის დროს და, დასკვნისათვის, საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურების მისამართით, რამდენიმე მაქსიმალურად შემჭიდროვებული რეკომენდაცია მინდა გამოვთქვა, რათა, ბიზნესის ეფექტიანი მენეჯმენტისათვის პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება მალე დავძლიოთ 4 ე.წ. „მაგრამ“ პრობლემა, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან მოდის, მართვაში გამოუცდელობის გამო:

1. სამაგალითო და ძალზე სასიხარულოა, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაიწყო (9-10% გასულ წელთან შედარებით), მაგრამ ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოს შემდგომი საგანგაშოდ სახიფათო ინერციული გაღრმავება ამ ფონზე [10], მიღებული შედეგის რეალურ საფუძველს თითქმის მთლიანად გვაკარგვინებს. აღნიშნული მდგომარეობის შესაცვლელად, ჩემი აზრით, სასწრაფოდ არის გადასახედი ექსპორტის 0-ვანი განაკვეთიც, უნიკალური სანედლეულო ბაზის გადინების აღსაკვეთად. ექსპორტის ეს განაკვეთი იმპორტის ფარული ხელშეწყობის მექანიზმი აღმოჩნდა, ვინაიდან, გასული ნედლეული გაძვირებული იმპორტის სახით გვიბრუნდება მყისიერად. ამდენად, 0-ვანი განაკვეთი მხოლოდ გარკვეულ მზა პროდუქციაზე და, განსაკუთრებით, მეცნიერებატევად პროდუქციაზე უნდა შენარჩუნდეს;
2. ძალზე კარგია, რომ ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების „საგადასახადო ტვირთი“ ამჟამად 27%-მდე შემცირდა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, მაგრამ, საერთო ჯამში, გასულ საუკუნეში განხორციელებული საგადასახადო კოდექსის რეფორმა გამარტივების მიმართულებით, ფარული აღმოჩნდა, ვინაიდან, ადგილობრივი ბიუჯეტებისა და სხვადასხვა

სუპერგადიდებული ჯარიმების მემკვიდრეობა, ექსპერტული შეფასებით, 50%-ზე მეტია და ზედმიწევნით ზრდის საგადასახადო წნეხს ამ ახალფეხადგმულ საბაზრო ქვეყანაში, რაც ყოვლად დაუშვებელია. თუ გავიხსენებთ ა. სმითის, დ. რიკარდოს, უ. პეტის, ჯ. ქეინზის, მ. ფრიდმენის, ა. ლაფერის, ვ. ჟისკარდესტენის და სხვა შეხედულებებს [1-10] აღნიშნულთან დაკავშირებით, საგადასახადო წნეხი საშუალოდ დაახლოებით 30%-ის მახლობლობაში უნდა იყოს და ახალგაზრდა ქვეყნისთვის კიდევ უფრო ნაკლები - 20-25%;

3. ძალზე კარგია, რომ ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯებში 2016 წელს უკვე დაახლოებით 38% დაიგეგმა, მაგრამ მასში ჯანდაცვაზე მხოლოდ 10%-ია გათვალისწინებული და დასაძლევია ეს ძველი მემკვიდრეობა ამ ნორმასთან დაკავშირებით - გვჭირდება უფრო თანაბარზომიერი განაწილება ჯანდაცვის შემდგომი ხელშეწყობისათვის, ვინაიდან, თუ ხარისხიანი მედიცინა ვერ გვექნა, სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვანწილად ფუჭი იქნება;
4. ძალზე კარგია, რომ საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს დაჩქარებულ ამორტიზაციას, მაგრამ ეს ძველი მემკვიდრეობით საერთოდ არ ეხება იმას, რასაც უნდა ეხებოდეს უმთავრესად - მანქანა-მოწყობილობებსა (მ.შ. სამედიცინო აპარატურას) და შენობა-ნაგებობებს (მ.შ. სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს), რაც ასევე სასწრაფოდ შესაცვლელია ტექნიკური პარკის მნიშვნელოვანი მოძველების პირობებში. ამასთანავე, გამარტივება ნამდვილად გადაჭარბებულია, ვინაიდან, ყოვლად დაუშვებელია ყველა შენობისა და მანქანის ერთნაირი საზომით შეფასება.

წყაროები

1. F. Taylor, Principles of Scientific Management, 1911, https://en.wikipedia.org/wiki/The_Principles_of_Scientific_Management
2. A. Smith, Lectures on Justice, Police, Revenue and Arms, Oxford, 1896.
3. W. Petty, The Economic Writings, vol. 1, Cambridge, 1899.
4. D. Ricardo, The Works and Correspondence, Cambridge, 1952.
5. გ. ოვჩინიკოვი, საერთაშორისო ეკონომიკა. - სანქტ-პეტერბურგი (რუსულ ენაზე), 1998.
6. მეიოს ლეგენდარული კლინიკის შესახებ,

   http://www.the-village.ru/village/business/case/155319-legendarnaya-klinika-meyo-10-sovetov-o-rabote-v-sfere-uslug
7. რევაზ ლორთქიფანიძის შრომები (მათში მითითებულ წყაროებთან ერთად) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ფონდში

   http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%2C+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96
8. რევაზ ლორთქიფანიძის შესახებ https://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze
9. ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემები
10. Wikipedia.org და პუბლიკაციები სოციალურ ქსელებში
11. მენეჯმენტის თეორიების შესახებ https://en.wikipedia.org/wiki/Management
12. ჰენრი ფორდის შესახებ https://en.wikipedia.org/wiki/Henry_Ford

13. ფრედერიკ ჰერცბერგის შესახებ https://en.wikipedia.org/wiki/Frederick_Herzberg

14. პიტერ დრუკერის მენეჯერული სკოლის შესახებ

https://en.wikipedia.org/wiki/Peter_F._Drucker_and_Masatoshi_Ito_Graduate_School_of_Management

დანართი 1

ცხოვრების დონეების შესახებ



დანართი 2

კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილების შედეგი



დანართი 3

კონკურენციის ძალის შეფასების ინდექსები



ჩვენ მეთოდოლოგია საძიებელი
ნაგებობებზე თიკრიტიკული
კონკურენციისათვის

$I_1 = \frac{u}{R_1}$

$I_0 = \frac{u}{R_0}$

} კონკურენციის ძალის ინდექსები

$K = N \cdot I_1 \cdot I_0$

ამ ეტაპზე,
ეკონომიკური ობიექტებისათვის
მიზანშეწონილია, თუთ

$300 < K < 500$

ო. ...

ავტორის შესახებ

E-mail: revazlordkipanidze@gmail.com, r_lordkipanidze@yahoo.com

WWW http://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze

http://revaz-lordkipanidze.simplesite.com/

PROFESSIONAL EXPERIENCE სამთავრობო და სამეცნიერო ეკონომიკურ სტრუქტურებში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, პროფესორი (2010 წლის იანვრიდან დღემდე, კურსები საერთაშორისო მენეჯმენტის, მენეჯერული ხარჯების, ბიზნესისა და ფინანსების საფუძვლების საკითხებზე), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი სპეციალისტობიდან დაწინაურდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვის სამმართველოს უფროსამდე (2001–2009, სამინისტროს რეორგანიზებამდე), 2013 წელს აირჩიეს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ეკონომიკის საკითხებში სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა (1998–2001), სხვადასხვა წლებში მუშაობს პროფესორად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში, თსუ ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად. აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (1997–1998), აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე (1994–1996), აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, როგორც მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (1993–1994), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტობიდან დაწინაურდა უმცროს მენიერმუშაკად, მეცნიერმუშაკად, უფროს მეცნიერმუშაკად (1986–1993), 150–ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, მ.შ. 30 წიგნადი შრომაა ეკონომიკაში. კვლევის სფეროებს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული საფუძვლები, მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, აშშ ეკონომიკა (გამოცემულია შრომები აშშ საელჩოს მხარდაჭერით), ეკონომიკური კონკურენცია და ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობა (განავითარა ევროკავშირის ექსპერტთა ფორმულირება), ძირითადი კაპიტალის მწარმოებლურობა, სავალუტო სისტემა და სხვ.

EDUCATION 1989 წელს დაასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა, 1986 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო–ეკონომიკური ფაკულტეტი (წარჩინებით), 1981 წელს ბათუმის N1 საშუალოს სკოლა (ოქროს მედლით).

Certificates ნიუ–იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრობის სერთიფიკატი, ევროკავშირის პროექტის სერთიფიკატი "უფრო სუფთა წარმოების" საკითხებში და სხვა მრავალი საერთაშორისო საზოგადოებრივი აკადემიისა და უნივერსიტეტის სერტიფიკატები.

Diplomas საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ გაცემული მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (N001557, ეკონომიქსის 08.00.01 სპეციალობით), მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით რუსეთის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (DK N002918), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინების დიპლომი HB N065540 (სპეციალობა – მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია) და სხვ.

Scholarships ინფორმაცია მის შესახებ შესულია ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (2005), როგორც ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორს (1999), მიენიჭა გრანტი – საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდია, გაიმარჯვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნომინაციაში "ყველაზე ინტელექტუალური" (2006), საერთაშორისო ეკომათემატიკური ტესტის სრულად ამომხსნელია და, როგორც მოსწავლეთა სასწავლო–შემოქმედებითი ოლიმპიადის ყველაზე მეტი სახეობის გამარჯვებულს, წილად ხვდა საქართველოს ახალგაზრდობის სახელით მოხსენება (1980).

LANGUAGES ინგლისური, რუსული.

COMPUTER SKILLS Internet, Microsoft Office Word, Excel, PowerPoint.

Personal information დაიბადა 1965 წლის 7 იანვარს, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი, ქაშვეთის ტაძრის სტიქაროსანია, ჰობი – საგალობლები, მათემატიკა, კალათბურთი.